სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ანგარიში

2020 წლის წლის დეკემბერში განხორციელდა 2018-2025 წ. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი. მიმდინარე დოკუმენტი მოიცავს 2019,2020 წლების განმავლობაში, სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების დინამიკას თბილისსა და თელავის განყოფილებაში.

სტრატეგიული მიზანი - „შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება“ დაწესებულების მიერ წარმატებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა ავტორიზაციის მოპოვების გზით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (ფარმაცია (სააფთიაქო)-თბილისი, საექთნო განათლება-თბილისი, თელავი, ინფორმაციის ტექნოლოგი-თბილისი, საფინანსო სერვისები-თბილისი, თელავი)) განახორციელების უფლება მოიპოვა თბილისსა და თელავის განყოფილებაში. 2020 წელს დაწესებულებამ ავტორიზაციის გზით, ქ. თბილისში განხორციელების უფლება მოიპოვა, „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ამავე წლის ოქტომბრის თვეში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა განაცხადი, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ (ფარმაცია (სააფთიაქო), საექთნო განათლება) ქ. თბილისში. ამავე წელს დაწესებულებამ მოიპოვა უფლება მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების. აღსანიშნავია რომ, სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის პერიოდი მოიცავს დაწესებულების ავტორიზაციისთვის მზადების პერიოდს, აქედან გამომდინარე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი, სავალდებულო აქტივობები და მტკიცებულებები დაწესებულებას სრულად ჰქონდა შესრულებული. თუ არ ჩავთვლით 2020 წლის II კვარტლის დასაწყისს, როდესაც ქვეყანა მოიცვა covid პანდემიამ. აღნიშნულმა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა სტრატეგიული განვითარების გეგმის ზოდგიერთი მიზნის განხორციელებაზე. პანდემიის პერიოდში პირისპირ სწავლება შეიცვალა დისტანციური სწავლებით და აუცილებელი გახდა აქამდე არსებული სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მიდგომების მოდიფიცირება. სწავლების ახალ ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით, თბილისის და თელავის განყოფილების პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგები. ცალკე ტრენინგების კურსი სწავლების ელექტრონულ ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვისაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით ტრენინგების კურსი არ ყოფილა ერთჯერადი და დაწესებულება, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად, მუდმივად განაგრძობდა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ფორმატის გაუმჯობესებას. რთული პერიოდის მიუხედავად, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა 2020 წლის დეკემბრის თვეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თხდღიანი ონლაინ კონფერენციაში, რომელიც მოიცავდა ისეთ აქტუალურ თემებს, როგორიცაა: პროფესიული განათლების გამოწვევები Covid-19-ის ფონზე, განათლებისა და დასაქმების კუთხით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო ტენდენციები, პანდემიის პირობებში სამუშაო ძალის განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სირთულეები, გადაჭრის გზები და სამომავლო პერსპექტივები. ამავე პერიოდში გაიმართა შეხვედრა „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" - "ინსტიტუციური თვითშეფასებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების განვითარების ქვეპროგრამის" ფარგლებში, რომელშიც ჩართული იყვნენ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი, (აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში შეიქმნა შეფასების ინსტრუმენტები 10 პროფესიული პროგრამისთვის). მიუხედავად კოვიდ პანდემიისგან გამოწვეული პრობლემებისა, სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანები - სასწავლო პროცესის განვითარება, მეთოდების დახვეწა და ინოვაციების დანერგვა დაწესებულებაში და პერსონალის კომპეტენციის ამაღლება დაწესებულების მართვით პროცესებში ჩართულობასთან დაკავშირებით,

წარმატებით შესრულდა. ასევე „პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენციებში მონაწილეობის უზრუნველყოფა (თბილისი, თელავის განყოფილება)“, რომელიც სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს, წარმატებით განხორციელდა კოვიდ პანდემიის პირობებში, რადგან კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა სახის კონფერენციებში, რომელიც ონლაინ ფორმატში იმართებოდა. სტრატეგიული გეგმის ამოცანები: „ საგანმანათლებლო და დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა“, „ტექნიკური აღჭურვილობის მუდმივად გაახლება/სრულყოფა“ და „სასწავლო რესურსების სისტემური შევსება/გაახლება“ დაწესებულებამ ნაწილობრივ განახორციელა 2019 წელს და 2020 წლის დასაწყისამდე. აღნიშნული ამოცანების შესრულება გაიწერება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა, პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით შეხვედრები გაიმართა ონლაინ ფორმატში, სადაც ძირითადი თემა კოვიდ პანდემის და მისგან დაცვის უსაფრთხოების წესებს შეეხო. სტუდენტური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი) ორგანიზება და წახალისება 2020 წლისათვის თითქმის არ განხორციელებულა ზემოთხსენებული მიზეზები გამო.

რეკომენდაცია: მოგეხსენებათ სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მიზნის - „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა“ დაწესებულებამ წარმატებით განახორციელა 2019 წლისთვის, თუმცა 2020 წლისათვის კოვიდ პანდემიის გამო მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. გთხოვთ რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზანში - „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა“ გათვალისწინებული ამოცანები, აქტივობების სახით გაწეროთ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.

ხარისხის მართვის მენეჯერი
შორენა დემურაშვილი